

სსიპ საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახურის საქმიანობის 2021 წლის ანგარიში

- 2021 წლის იანვრის თვეში სსიპ საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიულ სამსახურში სამხრეთ კორეის ჰიდროგრაფიული სააგენტოს ინიციატივით ოფიციალური განვითარების დახმარების ფარგლებში (ODA-Official Development Assistance) მიმდინარე პროექტის პრაქტიკული განხორციელების ფაზა დაიწყო.
დაინსტალირდა ჰიდროგრაფიული სამსახურისათვის კორეული მხარის მიერ გადმოცემული ტექნიკა და დატრენინგდა ადგილობრივი კადრები.
ჰიდროგრაფიული მობილური მოწყობილობები (TRBM) ორ სხვადასხვა ლოკაციაზე ფოთისა და ყულევის აკვატორიაში - ზღვის ფსკერზე იქნა განთავსებული. ისინი წყლის დინების მიმართულების, წყლის მახასიათებლების და სიჩქარის განსაზღვრას, ასევე მოპოვებული მონაცემების დაარქივებას ახორციელებენ.
- მარტის თვეში სსიპ საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიულ სამსახურს ოფიციალური განვითარების დახმარების პროგრამის ფარგლებში (ODA-Official Development Assistance) კორეულმა მხარისგან საზღვაო სანავიგაციო რუკების საწარმოებლად ახალი თაობის პროგრამები (Teledyne CARIS Paper Chart Composer 4.0 ; S-57 Composer 3.1 0 გადმოეცა.
- სსიპ საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიულმა სამსახურმა შავი და აზოვის ზღვების სამუშაო ჯგუფის (BASWG) ონლაინ შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა. კონფერენციაზე ქვეყნებმა წარაადგინეს 2019-2021 წლებში თავიანთ რეგიონებში განხორციელებული ჰიდროგრაფიული აქტივობები და აგრეთვე მოახდინეს ინფორმაციის ურთიერთგაზიარება.
- სსიპ საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიულ სამსახურში ახალი სტამბა მოეწყო, რომელიც საზღვაო სანავიგაციო რუკების დასაბეჭდად აღჭურვილია თანამედროვე ტიპის საბეჭდი მოწყობილობებით.
სტამბაში განთავსებული პლოტერების ნაწილი ჰიდროგრაფიულ სამსახურს სამხრეთ კორეის მიერ „ODA“-ს პროექტის ფარგლებში გადაეცა.
- სსიპ საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიულმა სამსახურმა საერთაშორისო ჰიდროგრაფიული ორგანიზაციის (IHO) ხმელთაშუა და შავი ზღვების ჰიდროგრაფიული კომისიების MBSHC22 ონლაინ კონფერენციაზე მიიღო მონაწილეობა.
კონფერენციაზე განხილული იქნა ხმელთაშუა და შავი ზღვების აუზის ქვეყნების ელექტრონული რუკების ურთიერთგადაფარვის პრობლემები და მათი გადაჭრის გზები, აგრეთვე იმსჯელეს საერთაშორისო რუკათა კატალოგის განახლებაზე, სადაც საქართველოს ჰიდროგრაფიული სამსახურის მიერ წარმოებული ხუთი საერთაშორისო სანავიგაციო რუკაა განთავსებული. საქართველოს ჰიდროგრაფიული სამსახურის ჩართულობით შეიქმნა ხმელთაშუა და შავი ზღვების ჰიდროგრაფიული კომისიების მუშა ჯგუფი.

- ივლისის თვეში ფოთის აკვატორიაში განთავსებული ამორტიზებული სახმელეთო მეტეოსადგური ახალი სადგურით ჩანაცვლდა. მეტეოსადგური გლობალური ლიდერი კომპანია VAISALA-ს მიერ არის წარმოებული. მგრძნობელობის უმაღლესი ხარისხის მქონე სენსორებით და სპეციალიზირებული პროგრამით უზრუნველყოფილი ახალი მეტეოსადგური ქარის სიჩქარის, ქარის მიმართულების, ჰაერის ტემპერატურის, ნალექიანობის და ტენიანობის შესახებ ზუსტი მონაცემების მოწოდებას ახდენს.
- ჰიდროგრაფიულ სამსახურში ჰიდროგრაფიული ინფრასტრუქტურის განვითარების (ODA) -ს პროექტის ფარგლებში სამხრეთ კორეის ოკეანოგრაფიისა და ჰიდროგრაფიის სააგენტოდან მოვლენილმა ინჟინერ - ჰიდროლოგებმა საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახურის სპეციალისტებთან ერთად განახორციელეს კვლევები ფოთის პორტის აკვატორიაში. ჩატარდა ტრენინგები ჰიდროგრაფიული სამსახურის პერსონალისათვის.
- ოქტომბრის თვეში სამხრეთ კორეის ჰიდროგრაფიისა და ოკეანოგრაფიის სააგენტოს წარმომადგენლების მიერ საქართველოში მიმდინარე ჰიდროგრაფიული ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტის (ODA) -ს ფარგლებში ჩატარებული სამუშაოების აუდიტი განხორციელდა.
- მიმდინარე წლის მაისში საერთაშორისო ჰიდროგრაფიული ორგანიზაციის რიგით 22-ე ხმელთაშუა და შავი ზღვების კომისიაზე (MBSHC 22) მიღებული გადაწყვეტილებით საქართველომ, როგორც აღნიშნული კომისიის რეგიონალურმა წევრმა სხვა ქვეყნებთან ერთად მონაწილეობა მიიღო ამავე კომისიის სტატუტის შეცვლის პროცესში, რომელიც კომისიის რესტრუქტურისა და პროცედურული საკითხების შეცვლას გულისხმობდა. წარმოდგენილი რვა ვერსიიდან საერთაშორისო ჰიდროგრაფიულმა ორგანიზაციამ საქართველოს ჰიდროგრაფიული ორგანიზაციის მიერ წამოდგენილი დოკუმენტი შეარჩია, რომელიც ძალაში მომდევნო წლის მარტში MBSHC 23 კომისიაზე შევა.

- 2020 წლის 23–26 დეკემბერს ODA-ს პროექტის ფარგლებში საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიულმა სამსახურმა კორეის ოკეანოგრაფიისა და ჰიდროგრაფიის სააგენტოსა და პროექტის კონტრაქტორი კომპანიის წარმომადგენლების მონაწილეობით პროექტთან დაკავშირებული დისკუსიების პირველი ეტაპი გამართა. ვიზიტის ფარგლებში პროექტის მონაწილე მხარეებმა მიმოიხილეს 2020–2021 წლისთვის დაგეგმილი აქტივობები და ის ცვლილებები, რომლებიც პროექტით გათვალისწინებულ ღონისძიებებს შეეხო.
- საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახურისა და ODA-ის პროექტის კონტრაქტორი კომპანიის UST21 –ის მიერ დადებული საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში 2020 წელს საქართველოს ჰიდროგრაფიულ სამსახურს გადმოეცა საზღვაო ინფრასტრუქტურის მოწყობისთვისა და ოკეანოგრაფიული კვლევებისთვის განკუთვნილი მოწყობილობები. სამსახურმა დონაციის სახით მიიღო ტექნიკა, რომლის დამონტაჟებამაც სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახურის ინჟინრებთან ერთად მონაწილეობდა კორეელ ინჟინერ–ექსპერტთა ჯგუფი. მიმდინარე პროექტის მიხედვით ბათიმეტრიული კვლევების ჩატარება იგეგმება აგრეთვე ფოთის და ბათუმის პორტებში, რის საფუძველზე შეიქმება აღნიშნული რაიონების საზღვაო სანავიგაციო რუკები.
- 2020 წლის სექტემბრის თვეში ფოთის სინოპტიკურ სამართველოში დამონტაჟდა და ექსპლუატაციაში გაეშვა მეტეოროლოგიური რადარის (ღრუბლების, ფრონტების, ციკლონების გადაადგილებაზე დაკვირვება) მონაცემების დამუშავების სამუშაო სადგური პროგრამული უზრუნველყოფით „EDGE“.
სამუშაო სადგურის მეშვეობით გაიზრდა ამინდის და საშიში მეტეოროლოგიური მოვლენების ზუსტი პროგნოზირების ხარისხი, რაც აუცილებელი პირობაა ზღვაზე უსაფრთხო ნაოსნობისათვის.
2020 წლის ოქტომბრის თვეში სინოპტიკური სამართველოს თანამშრომლებს ჩაუტარდათ მეტეოროლოგიური რადარის მონაცემების დამუშავების სამუშაო სადგურის პროგრამული უზრუნველყოფის „EDGE“,

მომსახურება-ექსპლუატაციის შესახებ ტრენინგი და გადაეცათ შესაბამისი სერთიფიკატები.

- თებერვალში, სსიპ „საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიულ სამსახურს“ და თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა, რომელიც სამეცნიერო და საგანმანათლებლო მიმართულებით ერთობლივი პროექტების განხორციელებას, სასწავლო სამეცნიერო საქმიანობისათვის არსებული საფონდო და ელექტრონული მასალებით სარგებლობას, ინფორმაციის ურთიერთგაცვლას, ასევე ოკეანოლოგიის, ჰიდროლოგიისა და მეტეოროლოგიის სფეროებში ერთობლივი საქმიანობის განვითარებას ითვალისწინებს.

- 2020 წლის მარტის თვეში, სსიპ „საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიულმა სამსახურმა“ მალაიზიაში გამართულ IALA-ს მე-4 დიპლომატიურ კონფერენციაზე მიიღო მონაწილეობა, სადაც საქართველოს პრემიერ მინისტრის მიერ მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში ჰიდროგრაფიული სამსახურის დირექტორმა რევაზ ბაბილუამ შუქურების ორგანიზაციების საერთაშორისო ასოციაციის (IALA) საზღვაო სანავიგაციო დახმარებების საერთაშორისო ორგანიზაციად გარდაქმნასთან დაკავშირებულ მოლაპარაკებებში და ორგანიზაციის კონვენციის პარაფირების პროცედურაში მიიღო მონაწილეობა. საქართველო IALA -ს ნაციონალური წევრი სახელმწიფოს სტატუსით 2016 წლიდან ჩართულია აღნიშნული დოკუმენტის შემუშავების პროცესში.

- სანავიგაციო ნიშნების ტექნიკური მომსახურებისა და მონიტორინგის სამმართველომ განხორციელა სანავიგაციო საშუალებების შეღებვა, შერემონტება და ჩანაცვლება სათადარიგო თანამედროვე მოწყობილობა-დანადგარებით. მცურავი სანავიგაციო ნიშნები განთავსდა უსაფრთხო ნავიგაციისათვის ოპტიმალურ კოორდინატებში. საქართველოს საზღვაო პასუხისმგებლობის ზონაში უზრუნველყოფილ იქნა უსაფრთხო ნაოსნობა. საქართველოს საზღვაო პასუხისმგებლობის ზონაში, ნავსადგურებსა და მისასვლელ არხებზე, განთავსდა სახმელეთო და მცურავი სანავიგაციო ნიშნების საჭირო რაოდენობა. სანავიგაციო ნიშნების ტექნიკური მომსახურებისა და მონიტორინგის ჯგუფის პერსონალისათვის IALA-ს მსოფლიო აკადემიის ტექნიკოსთა მეორე დონის კურსის მიხედვით (IALA WORLD WIDE ACADEMY Model course Level 2 Technician) ჩატარდა შიდა ტრენინგები, რომელიც მოიცავდა საქართველოს საზღვაო პასუხისმგებლობის სივრცეში პორტებსა და პორტებთან მისასვლელი გზების სანავიგაციო ნიშნებით მარკირების, მათი სისტემატიზაციის და მოვლა-პატრონობის მეთოდოლოგიას.

- 2020 წლის ნოემბერში სსიპ „საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიულმა სამსახური“-ს ხარისხის მართვის სისტემამ წარმატებით გაიარა რიგით მე-2

რესერტიფიცირების პროცესი, რის დასტურადაც 2020 წლის 10 დეკემბერს მას მომდევნო სამი წლით მიენიჭა ხარისხის მართვის სისტემის საერთაშორისო სტანდარტთან - ISO 9001:2015 -შესაბამისობის სერტიფიკატი.